603/2 N 12088

ლელო

№33
(10944)

სექტემბერი. 1995 წ.
ფასი 1000 რუბლი, ან შესაბამისი კუპონი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ნიურნბერგი: 19 საათი და 45 წუთი, თბილისში ამ დროს 22 საათი და 45 წუთია

2 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა და ახალგაზრდულმა (ოლიმპიურმა) ნაკრებმა გუნდებმა გეზი გერმანიისაკენ აიღეს: ფრანკფურტში ჩაფრენის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მთავარი გუნდი ნიურნბერგს გაემართა, სადაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში (6 სექტემბერი) მსოფლიოს სამგზისა და ევროპის ორგზის ჩემპიონს გერმანიის ეროვნულ ნაკრებს შეხვდება. თამაში ნიურნბერგის ცენტრალურ სტადიონზე დაიწყება 19 საათსა და 45 წუთზე ადგილობრივი დროით (22 საათსა და 45 წუთზე თბილისის დროით). დაგეგმილია ამ მატჩის პირდაპირი რადიორეპორტაჟი.

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ალექსანდრე ჩივაძის განკარგულებაშია: მეკარეები — დევაძე, ზოიძე, მცველები — ბერაძე, გუჯაბიძე, ჩიხრაძე, შელია, კუდინოვი, ღუდუშაური, მაჭავარიანი, ნახევარმცველები — გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ტულუში, გ. კილასონია, ქეცბაია, ცქიტიშვილი, ქინქლაძე, თავდამსხმელები — შ. და ა. არველაძეები, ყაველაშვილი.**

ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო ამჯერად ნაკრების შემადგენლობაში ვერ ვიხილავთ ცხადაძეს, ინალიშვილს, ჯამარაულს, რევიშვილს.

როგორც შევიტყვეთ, არც გერმანელთა ნაკრებია უდანაკარგებოდ: ტრავმის გამო მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს კოლერი. წინა შეხვედრებში მიღებული ორი ყვითელი ბარათის გამო უფლება არა აქვთ ითამაშონ როიტერსა და ზამერს.

ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ერთმანეთს წინა დღით ფრაიბურგში შეერკინებიან.

საქართველოს სპორტულ დელეგაციაში, რომელიც ამჟამად გერმანიაში იმყოფება, არის აგრეთვე ჩვენი გაზეთის საფეხბურთო მიმომხილველი ჯემალ ჭიპაშვილი. მის რეპორტაჟს ნიურნბერგიდან „ლელოს" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

იხ. მე-4 გვ.

## ლენარტ იუჰანსონი: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კარგი რეპუტაციით სარგებლობს

**29-30 აგვისტოს თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა უეფას დელეგაცია პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონის მეთაურობით**

ვიზიტის პროგრამით სტუმრები უნდა შეხვედროდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, მაგრამ მომხდარი ტერორისტული აქტის გამო ეს ვერ მოხერხდა. პრემიერ-მინისტრ ოთარ ფაცაციასთან საუბრის დროს ლ. იუჰანსონმა შეშფოთება გამოთქვა მომხდარის გამო და გულთბილი თანადგომის წერილით მიმართა სახელმწიფოს მეთაურს.

უეფას მესვეურებმა გულდასმით დაათვალიერეს ჩვენი ეროვნული სტადიონი, ს.კ. „დინამოს" დიღმის საწვრთნელი ბაზა, სპორტის სასახლე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შტაბსადგომი. სასტუმრო „მეტეხში" მათ კონფიდენციალური საუბარი გამართეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აპარატის მუშაკებთან. აქვე, სასტუმროს კონფერენცდარბაზში შეხვდნენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, საინფორმაციო სააგენტოების მუშაკებს, ამომწურავად უპასუხეს შეკითხვებს.

კითხვაზე, როგორ შეაფასებდით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამწლიან მოღვაწეობას (საქართველო უეფას და ფიფას წევრი 1992 წლიდანაა — რედ.), ლ. იუჰანსონმა განაცხადა, რომ სფფ კარგი რეპუტაციით სარგებლობს უეფაში და ჩვენ მშვენიერი ურთიერთობა გვაკავშირებსო. ჰ. აიგნერმა კი დაამატა, რომ სფფ უნდა ამაყობდეს იმით, რისი გაკეთებაც მოასწრო ამ მოკლე ხანში, მისი მომავალი ნათელი იქნებაო.

ვიზიტის დასასრულს სტუმრებმა კვლავ გაუსვეს ხაზი იმას, რომ უეფა მომავალშიც დაეხმარება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მატერიალურად და ფინანსურად, აგრეთვე მორალურად.



ლენარტ იუჰანსონი (მარცხნიდან მეორე) ეროვნულ სტადიონზე მასპინძლებთან ერთად.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## საქართველოს თასზე

გაიმართა საქართველოს ეროვნული თასის მეექვსე გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩები ფეხბურთში:

„მალაროელი" (ჭიათურა) — „დინამო" (ზუგდიდი) 2-1
„უნივერსიტეტი" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0-6
„მრეტები" (თბილისი) — „დილა" (გორი) 1-2
„კახეთი" (თელავი) — „შევარდენი — 1906" (თბილისი) 0-0
„გურია" (ლანჩხუთი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2-3
„შსს აკადემია" (თბილისი) — „ალგეთი" (მარნეული) 2-0
„დურუჯი" (ყვარელი) — „კოლხეთი" — 1913" (ფოთი) 2-4
„რწმენა" (ქუთაისი) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 0-1
„არმაზი" (მცხეთა) — „დინამო-2" (თბილისი) 1-1
„ანჯელი" (აბაშა) — „ივერია" (ხაშური) 3-2
„მერანი-91" (თბილისი) — „სიონი" (ბოლნისი) 1-1
„იბერია" (ქარელი) — „ეგრისი" (სენაკი) 1-1

საპასუხო შეხვედრები გაიმართება 11 სექტემბერს.

თასის გათამაშების დებულებით სამტრედიის „სამტრედია" და ბათუმის „დინამო", როგორც ევროტურნირებში მონაწილე გუნდები, ასპარეზობაში 1/8 ფინალიდან ჩაერთვებიან, ხოლო თბილისის „დინამო", როგორც ევროტურნირში მონაწილე, რესპუბლიკის ჩემპიონი და თასის მფლობელი — 1/4 ფინალიდან.

## ჭადრაკი საზონათშორისოს სტარტზე

კიშინიოვში დაიწყო ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი. მონაწილეთა შორის ერთგვარი ცვლილებები მოხდა. მაგალითად, ირინა ლევიტინასა და ელენა ახმილოვსკაიას (ორივე — აშშ) ნაცვლად ამ ქვეყნის ფედერაციამ ახალგაზრდა ოსტატები გამოაგზავნა.

დიდი კამათი გამოიწვია ფიდეს გადაწყვეტილებამ შვედ დიდოსტატ პია კრამლინგის პირდაპირ პრეტენდენტთა ტურნირში დაშვებამ. ამის გამო კიშინიოვში 7 საპრიზო ადგილის ნაცვლად ექვსი იქნება. ამ საკითხთან დაკავშირებით მონაწილეთა დიდმა ჯგუფმა, მათ შორის ნანა იოსელიანმა და ალისა გალიამოვა-ივანჩუკმა ფიდეს ოფიციალური საპროტესტო წერილით მიმართეს.

გაგაცნობთ პირველ ტურში ქართველი მოჭადრაკეების შედეგებს:

იოსელიანმა დაამარცხა ახალგაზრდა პოლონელი ოსტატი ბობროვსკა, არახამიამ — ციგანოვა (ესტონეთი), გურიელმა — შერემეტიევა (მოლდოვა), ეძგვერაძემ — ბურტმანი (აშშ). ლომინეიშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბოიკოვიჩთან (იუგოსლავია). 3 ქართველი მოჭადრაკე დამარცხდა: ხურციძე — მატვეევასთან (რუსეთი), ხორავა — ცინთან (ჩინეთი), ჯანჯღავა — ჯუ ჩენთან (ჩინეთი).

9-10 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში, გაიმართება

საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის დამფუძნებელი ყრილობა

დელეგატების რეგისტრაცია — 9-დან 10 საათამდე.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### პირველი ჯგუფი. V ტური

„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „ეგრისი" (სენაკი) 1-0
„დინამო" (ბათუმი) — „სამტრედია" (სამტრედია) 3-4
„დინამო„ (ზუგდიდი) — „დინამო" (თბილისი). დინამოელთა ესპანური ტურნეს გამო ეს მატჩი გადაიდო.
„ტორპედო (ქუთაისი) — „სიონი" (ბოლნისი) 3-0
„მეტალურგი" (რუსთავი) — „დურუჯი" (ყვარელი) 4-0,
„დილა" (გორი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2-0,
„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „კახეთი" (თელავი) 3-0,
„შევარდენი-1906" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური) 3-1.

## ვინ საიდან, ვინ საით...

● ატლანტიდან დაბრუნდა საქართველოს სპორტული დელეგაცია, რომელიც მომავალი ოლიმპიური თამაშების ქალაქში იმყოფებოდა ოლიმპიადის ორგანიზატორების მიწვევით. სპორტის ცალკეულ სახეობებში ჩვენი ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებმა ორკვირიანი წვრთნა გაიარეს ატლანტის ოლიმპიურ ბაზებზე.

● ტყვიის სროლაში მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად გერმანიაში გაემგზავრა ნინო სალუქვაძე.

● ანტალიაში დაიწყო მსოფლიო თასის გათამაშება წყალხტომში, სადაც საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს ეროვნული ნაკრების გუნდის კანდიდატი ნანა ყაზარაშვილი.



## ბერტი ფოგტსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მატჩს ქართველებთან

**6 სექტემბერს გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა ამ ქვეყნისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა შორის. ჩვენ კარგად გვახსოვს ამ გუნდების პირველი მატჩი თბილისში, იგი მაშინ გერმანელთა გამარჯვებით დასრულდა (2-0), და, აი, ახლა დადგა საპასუხო თამაშის დღე.**

ლაპარაკი ამ შემთხვევაში იმაზე, თუ ვინ დაიკავებს პირველ ორ ადგილს ევროპის VII საკვალიფიკაციო ჯგუფში და ვინ გავა ფინალურ ეტაპზე, ძნელია. ბულგარეთისა და გერმანიის გუნდები იმდენად დაწინაურდნენ, რომ მათი დაწევა და გადასწრება ძალიან გაჭირდება. მაგრამ ახლა საქმე უკვე პრესტიჟზეა, საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი შანსი აქვს დაამტკიცოს თავისი პოტენციური სიძლიერე და შესაძლებლობანი, დაამტკიცოს, რომ იგი საერთაშორისო კლასის ძალაა, რომ ქართული ფეხბურთის კორიფეებს ამაოდ არ შეუქმნიათ ის დიდებული, ჭეშმარიტი ლეგენდები, რომლებითაც ახლაც ვცოცხლობთ და ვსულდგმულობთ, ახლაც მოგვაქვს თავი დიდ მსოფლიო ფეხბურთში.

და კიდევ ერთხელ სიმწრით როგორ არ უნდა გაიხსენო საბედისწერო მატჩი მოლდოვის ნაკრებთან, როცა ჩვენ შინ, საკუთარ მინდორზე წაგება ვიწვნიეთ მასთან და ფაქტიურად მაშინ გამოვეთიშეთ შესარჩევი ჯგუფის ფავორიტთა რიგებს, სათუოდ და სამკითხაოდ გავიხადეთ ეს ისედაც ძნელი საქმე. მოლდაველებთან რევანშის აღების შესაძლებლობა კიდევ მოგვეცემა სულ მალე, ნოემბერში, მაგრამ ეს მხოლოდღა სპორტული სამაგიეროს გადახდის, თუ გნებავთ, შურისძიების უეჭველი პერსპექტივაა, აი უიმედოდ დაკარგულ ქულებს ვილა აგვინაზღაურებს! წარსულის სავალალო ლაფსუსს ალარაფერი ეშველება, მაგრამ მაღალი პრესტიჟის შენარჩუნებისთვის დღენიადაგ გვმართებს ზრუნვა, მუდამ ნათლად გვახსოვდეს უელსის ნაკრებთან შინ მოპოვებული დიდი გამარჯვება და ბრიტანელებთან გატანილი ის ხუთი უპასუხო გოლი.

ვინ არის ჩვენი მეტოქე 6 სექტემბერს? საერთაშორისო ფეხბურთის ერთ-ერთი ნაღდი გრანდი, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ბრწყინვალე ოსტატებით დაკომპლექტებული გერმანიის ნაკრები, გუნდი, რომელიც მაღალი საშემსრულებლო ინდივიდუალური ხელოვნების გარდა მუდამ გამოირჩეოდა ნებისყოფით და სულიერი სიმტკიცით, საგანგებო ბრძოლისუნარიანობით, საარაკო მონოლითურობით, ერთიანობით, მობილიზებით, საკუთარი ძალების ურყევი რწმენით.

მაგრამ რა დღეშია დღეს გერმანიის გუნდი, რა პრობლემების წინაშე დგას იგი, რა სიძნელეები გააჩნია მას?

სულ ახლახან გერმანიის ნაკრებმა ბელგიური ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მატჩში მიიღო ბელგიის ნაკრების მიწვევა, საიუბილეო თამაში დაამარცხა ძლიერი მეტოქე მისსავე მინდორზე ბრიუსელში (2-1). დამარცხებით კი დაამარცხა, მაგრამ ევროპის პრესამ გამარჯვებულთა თამაშში უამრავი ნაკლოვანება შეამჩნია, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა დაცვისა და ნახევარდაცვის სისუსტეს, შეუთანხმებლობას, ქაოსურობას, უსისტემობას. ანდრეას მელერმა 11-მეტრიანიც ვერ გაიტანა: დარტყმა მეკარემ მოიგერია, ბურთს ყველაზე ადრე ისევ მელერმა მიუსწრო, მაგრამ ხელმეორედ დარტყმით უკვე ცას ტყორცნა იგი. თამაშის დასასრულს ბელგიელები განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ უშედეგოდ, სტუმრებმა შეინარჩუნეს ეს უძნელესი გამარჯვება.

მიმომხილველებმა აღნიშნეს, რომ გერმანელებს ამ მატჩში აკლდათ ზამერი, კლინსმანი, ჰერლიხი, ჰესლერი, აგრეთვე ციკლერი, როიტერი, ციგე. ამის გამო ლაპარაკიც კი იყო იმის თაობაზეც, რომ თამაში გადაეტანათ, მაგრამ

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა ხდება ქვეყანაზე

● კრივის მსოფლიო საბჭომ (ვბს) — ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა პროფესიულმა ორგანიზაციამ თავის მორიგ რეიტინგში №1 პრეტენდენტად დაასახელა მაიკ ტაისონი, რომელიც სულ ახლახან გამოვიდა და პირველ ბრძოლაში შეხვდა ძალზე სუსტ მეტოქეს — პიტერ მაკნილს. სპეციალისტებსა და ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ტაისონის პრეტენდენტობაზე საუბარი ნაადრევია მანამ, სანამ იგი არ შეხვდება რომელიმე ღირსეულ პარტნიორს. შეგახსენებთ, რომ ვბს-ს ვერსიით ჩემპიონის ოქროს ქამარს ოლივერ მაკოლი ფლობს.

● არგენტინის ქალაქ ნუკენში დამთავრდა 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების კალათბურთელ ვაჟთა შესარჩევი ტურნირი. უნდა გათამაშებულიყო სამი საგზური. ნახევარფინალური მატჩები ასე დამთავრდა: არგენტინა — ბრაზილია 87:82, პუერტო-რიკო — კანადა 98:81. გამარჯვებულებმა გაინაღდეს ფინალური ტურნირის საგზური. მესამე ვაკანსიისთვის იბრძოდნენ ბრაზილია და კანადა. აქ ბრაზილიელებმა იმარჯვეს — 97:77. არგენტინა — პუერტო-რიკოს კალათბურთელთა მატჩს ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ და იგი პუერტო-რიკოელებმა მოიგეს — 87:86. ამრიგად, ატლანტაში გაემგზავრებიან: არგენტინის, ბრაზილიისა და პუერტო-რიკოს გუნდები.

● დოლომიტების ალპებში გაიმართა პროფესიონალ ველოსიპედისტთა კლასიკური ერთდღიანი რბოლა „მელინდა ტროფეო". სპორტსმენებს უნდა დაეფარათ საკმაოდ რთული, 196-კილომეტრიანი ტრასა. პირველი ადგილი დაისაკუთრა შვეიცარიელმა პასკალ რიშარმა — 5:10.00. ფინიშზე მან ორ იტალიელ ველოსიპედისტს აჯობა: ჯანი ფარეზინს და მსოფლიოს ექსჩემპიონ მაურიციო ფონდრიესტს.

● ამ დროს ბრიუსელში კი პროფესიონალ ველოსიპედისტთა მეორე ჯგუფი ასპარეზობდა არანაკლებ პრესტიჟულ რბოლაში დაყოფილი სტარტით, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ბელგიელი ველოსიპედისტის პატივსაცემად „გრან-პრი ედი მერქსად" იწოდება. 63-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი მერქსის თანამემამულე იოჰან მიუზეუვი იყო — 1:17.36. მეორე ბელგიელი იოჰან ბრუნელი გამარჯვებულს 0,34 წამით ჩამორჩა. ფინიშთან მესამე იყო ტონი რომინგერი (შვეიცარია) — მინუს 0,38.

● სანკტ-პეტერბურგში დამთავრდა ცნობილი რუსი კალათბურთელის ალექსანდრე ბელოვის სახელობის თასის გათამაშება. ნახევარფინალში ბელოვის მშობლიურმა გუნდმა, ადგილობრივმა „სპარტაკმა" აჯობა კაუნასის „ჟალგირისს" 99:91, მოსკოვის „დინამომ" კი ისრაელის „ჰაპოელს" — 100:74. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ფინალი, რომელიც მოიგო „სპარტაკმა" — 87:85. გამარჯვებულთაგან ფინალში ყველაზე შედეგიანი იყო მალცევი — 36 ქულა, „დინამოში" — ბაზარევიჩი (19). შეგახსენებთ, რომ ალექსანდრე ბელოვი წლების განმავლობაში პეტერბურგის „სპარტაკისა" და სსრ კავშირის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი იყო. 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადის ფინალში (აშშ-ის ნაკრებთან) სწორედ მან მოუტანა გამარჯვება ბოლო ორქულიანი ტყორცნით საბჭოთა კავშირის გუნდს.

● გაიმართა „ფორმულა-1-ის" 46-ე გათამაშების მეთერთმეტე ეტაპი — „ბელგიის გრან-პრი." გაიმარჯვა „ბენეტონ-რენოს" ავტომობილისტმა მიჰაელ შუმახერმა (საშუალო სისწრაფე 190,204 კმ საათში). მეორე შედეგი ჰქონდა დემონ ჰილს („უილიამს-რენო"). მესამე — მარტინ ბრანდლს („ლეჟიე-მიუგენ ჰონდა"). თერთმეტი ეტაპის შემდეგ ლიდერთა სამეული გამოიყურება ასე: შუმახერი — 66 ქულა, ჰილი — 51, ჟან-ალეზი — („ფერარი") — 32.

● ლონდონში დამთავრდა მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობა „კრისტალ პალასი", რომელიც ოთხ სხვადასხვა შეჯიბრებას მოიცავს. სამი მათგანი უკვე გაიმართა და 100 მეტრზე რბენა სამივეში ლინფორდ კრისტიმ (დიდი ბრიტანეთი) მოუგო მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონს, კანადელ დონოვან ბეილის (პირველად — ციურიხში, მეორედ — ბრიუსელში, მესამედ — ლონდონში). იმისათვის, რომ კრისტიმ მთავარი პრიზი დაიმსახუროს (250 ათასი დოლარი), მსოფლიოს ჩემპიონი მეოთხედაც უნდა დაამარცხოს.

● ვენაში დამთავრებულ მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე ბევრი მედალი გერმანიის ნაკრებმა მოიპოვა — 37 (ოქროს — 13, ვერცხლის — 13 და ბრინჯაოს — 11 მედალი), მაგრამ რუსებს ყველაზე მეტი ოქროს მედალი ხვდათ (17 ოქრო, 2 ვერცხლი, 4 ბრინჯაო). მედლების რაოდენობით მესამეა უნგრეთი (შესაბამისად 3,7 და 1).

● ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდემ) თავისი შტაბსადგომი ათენიდან ლოზანაში გადაიტანა. ეს ორგანიზაცია საბერძნეთის დედაქალაქში მხოლოდ ორი წლის მანძილზე ფუნქციონირებდა. ლოზანაში საზეიმო სადილს დაესწრნენ სოკის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი (მისი რეზიდენციაც, მოგეხსენებათ, ლოზანაში იმყოფება), გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი.

## რა ხდება ქვეყანაზე

# ჩოგბურთის ვარსკვლავი ფიქრობს, რომ 837-დღიანი სიბნელიდან სინათლეზე გამოვიდა, ანუ მონიკა სელეშის ხელახალი დაბადება

არასდროს არ გამოუწვევია კანადის ღია ჩემპიონატს ჩოგბურთში ისეთი ცხოველი ინტერესი, როგორც წლეულს. ტორონტოში ჩავიდა უამრავი ტურისტი მეზობელი ქვეყნებიდან. განსაკუთრებით ბევრი იყო ჩოგბურთის მოყვარული აშშ-დან. აკრედიტებულ ჟურნალისტთა კორპუსმა სამასს გადააჭარბა, რაც ამ რანგის შეჯიბრებისთვის უთუოდ სარეკორდო მაჩვენებელი იყო. არადა, ყველაფრის მიზეზი გახლდათ ერთ დროს იუგოსლავიელი, ამჟამად უკვე ამერიკელი ჩოგბურთელი მონიკა სელეში, რომელიც 28-თვიანი, უფრო ზუსტად, 837-დღიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა კორტს ისევ და ისევ თანამედროვე ჩოგბურთის ლიდერის რანგში.



კიმბერლი პო (აშშ) მისი პირველი მეტოქე იყო ამ ტურნირში რომელსაც ყოველ შემთხვევაში მონიკასათვის, ისტორიული მნიშვნელობა აქვს. პო, ბუნებრივია, საგულდაგულოდ ემზადებოდა შეხვედრისათვის, რომელიც შეიძლებოდა მისი სპორტული კარიერის გვირგვინი გამხდარიყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მონიკამ 60 წუთში მოამთავრა საქმე იმედებით აღსავსე მეტოქესთან — 6:0, 6:3.

ამ ტურნირში ყველაფერი ხელს უწყობდა სელეშს ღირსეულად დაბრუნებისთვის. შტეფი გრაფი დამარცხდა მეორე წრეში სამხრეთ აფრიკელ ამანდა კეტცერთან, რომელიც მოგვიანებით, უკვე ფინალურ მატჩში, უმოწყალოდ გაანადგურა მონიკამ. ცოტა მოგვიანებით ასპარეზობას გამოეთიშა ესპანელი არანტა სანჩესი. სხვა ღირსეული მეტოქე სელეშს ამ ტურნირში არა ჰყოლია.

მაშ ასე, დაბრუნება ბრწყინვალე გამოდგა. 21 წლის მონიკა სელეშს უკვე 33 ტურნირი აქვს მოგებული პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ეგიდით, მათ შორის ექვსი „დიდი სლემის" ასპარეზობაა.

— დიდხანს სიბნელეში ვცხოვრობდი, სადაც თითქოს არ ჩანდა პერსპექტივა, ახლა ისევ დავინახე სინათლე და ახალ ცხოვრებას ვიწყებ, — თქვა პირველი მატჩის მოგების შემდეგ მონიკამ. ტურნირში გამარჯვებას უკვე ლიდერის ღირსებით შეხვდა და მხოლოდ ისღა განაცხადა, რომ უახლოესი მიზანი აშშ-ს ღია ჩემპიონატში წარმატება არისო. ვნახოთ, რა გამოვა აქედან.

ნინო ჯიშკარიანი

სურათზე: მონიკა სელეში

# ასეთი არავინაა მსოფლიოში

**15 წლის უნგრელი მოჭადრაკე პეტერ ლეკო ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატია მსოფლიოში, აი თავის პროფესიაზე კი საუბრობს მრავლის მნახველი ბრძენკაცივით. გამარჯვების შემდეგ ცდილობს დაფაროს სიხარული — ვითომც არაფერი მომხდარა განსაკუთრებული, დამარცხება, ბუნებრივია, არ უყვარს, მაგრამ წყენასა და გულისტკივილს მალავს. ერთი სიტყვით, ჩამოყალიბებული პროფესიონალია, ყოველ შემთხვევაში ასეთად წარმოგვიდგენს მას ჟურნალისტ ალექსეი დოსპეხოვის ინტერვიუ.**

● **თხუთმეტი წლის ყმაწვილისათვის ამბიციურობა ცოტა ნაადრევი ხომ არაა?**

— ჩემს ასაკშიც კი, ვფიქრობ, რაღაცას მივაღწიე. ამ ცოტა ხნის წინ დავიანგარიშე, რომ სულ მალე, სარეიტინგო ცხრილში 2600 ქულას გადავაჭარბებ, ცუდია?

● **საინტერესოა, როგორ გახდა პეტერ ლეკო ყველაზე ახალგაზრდა „ვარსკვლავი"?**

— ჭადრაკის ფიგურები ხელში პირველად შვიდი წლისამ ავიღე. რამდენიმე ხნის შემდეგ მე და დედაჩემი იუგოსლავიაში გადავსახლდით. მაშინ იქ ცხოვრობდა მამაჩემი. ჩვენი ოჯახი დაფუძნდა ტურისტებით სავსე ერთ-ერთ პატარა საკურორტო ქალაქში. უცხოელთა შორის ბევრი იყო ჭადრაკის მოყვარული. აი, სწორედ მათთან ვთამაშობდი მთელი დღის განმავლობაში. ამ შეხვედრებმა დამარწმუნა, რომ ღირსეული მეტოქე ტურისტებში არავინ იყო. საბედნიეროდ, მალე დავბრუნდით უნგრეთში, ქალაქ სეგედში, სადაც სერიოზულად დავიწყე მეცადინეობა.

● **ვარჯიშს ალბათ დიდი დრო მიაქვს?**

— არც ისე. ჩვეულებისამებრ დღეში სამ-ოთხ საათს ვვარჯიშობ. ვფიქრობ, ეს სავსებით საკმარისია. თანაც არ მინდა მთელი ყურადღების კონცენტრაცია ერთ სფეროში. ჩემი დევიზია მრავალფეროვნება — ვცდილობ ამ დევიზს არ გადავუხვიო.

● **გარდა ჭადრაკისა რა გიტაცებს?**

— თავისუფალ დროს ვთამაშობ ფეხბურთს და ჩოგბურთს. ჩემი საყვარელი გუნდია „ფერენცვაროში", ჩოგბურთელებში კი ყველაზე მეტად პიტ სამპრასი მომწონს. ძალზე მეწყინა, როცა მან დაკარგა პირველი ადგილი მსოფლიო რეიტინგით.

● **სკოლაში თუ დადიხარ?**

— წელიწადში ერთხელ, როცა ექსტერნად გამოცდების ჩაბარება მიწევს.

● **როგორც ჩანს, გადაწყვეტილი გაქვს მხოლოდ ჭადრაკით იცხოვრო.**

— უსათუოდ პროფესიონალი გავხდები. კაცმა ხელი უნდა მოკიდოს მხოლოდ იმას, რაც ყველაზე მეტად ეხერხება. ჩემგან საშუალო დონის ფეხბურთელი ან ჩოგბურთელი დადგებოდა, ჭადრაკს კი, როგორც ხედავთ, ცუდად არ ვთამაშობ.

● **რაზე ოცნებობ ?**

— ბუნებრივია, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე, ჩემპიონი ნიშნავს უძლიერესს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ადამიანის ბუნებაშია სწრაფვა სრულყოფისკენ.



● **როდის ფიქრობ მიაღწიო კასპაროვის დონეს?**

— ჩემი შედეგების პროგრესს თუ გაითვალისწინებთ, ხუთ წელიწადში. ცხადია, დატვირთვის გაზრდა მომიხდება. სამი საათი ვარჯიშისათვის არ იქნება საკმარისი.

● **თუ გყავს კერპი მოჭადრაკეთა შორის, რომ მიბაძო?**

— ადრე ვცდილობდი ზოგიერთების მსგავსად თამაშს, მაგრამ მალე მივხვდი, რომ არასწორ გზაზე ვიდექი. ჭადრაკში, ისევე როგორც ყველა სხვა სფეროში, შენი საკუთარი გზა უნდა გქონდეს. ასეთ დასკვნამდე მივედი წარსულის სახელოვანი ოსტატების შემოქმედების გაცნობის შემდეგ.

● **ჭადრაკის უმაღლეს სამყაროში არც ისე დიდი ხნის წინ შედგი ფეხი, როგორ მიგიღო ელიტამ?**

— ნორმალურად. ბევრს დავუმეგობრდი კიდეც.

● **ამბობენ, მოჭადრაკეები კონკურენციას ვერ იტანენო.**

— ეს მე არ მიგრძნია. ჩემი კოლეგები ჩვეულებრივი ხალხია, რომელთა ინტერესები მხოლოდ ჭადრაკით არ არის შემოფარგლული.

● **გრძნობ თუ არა თავს დამოუკიდებელ ადამიანად?**

— მთლიანად ვერა. ტურნირებზე ჯერ კიდევ დამყვება დედაჩემი. მისი მხარდაჭერა რომ არა, გამიჭირდებოდა, განსაკუთრებით ფსიქოლოგიურად.

● **როგორ თავისუფლდები სტრესისგან?**

— ვკითხულობ, ან დავეხეტები ქალაქში.

● **ინგლისურ ენას ალბათ თავისუფლად ფლობ?**

— მოგეხსენებათ, საზღვარგარეთ ხშირად მიხდება ყოფნა.

● **მოგზაურობა თუ გიყვარს?**

— რა თქმა უნდა, თუმცა ზოგჯერ შინისკენ მიწევს გული.

● **დაგღლის თუ არა როდისმე ჭადრაკი?**

— ზოგჯერ ახლაც მღლის. ამ დროს დასვენებაა საჭირო. დაღლილობის გამო ხშირად ელემენტარული შეცდომა დამიშვია, განსაკუთრებით ცაიტნოტში. მომავალში ძალებს, ალბათ, უფრო რაციონალურად გამოვიყენებ.

სურათზე: პეტერ ლეკო

# გულშემატკივრის ნიადაგსახმარი წიგნი

დღემდე ასე იყო: თუ რაიმე დაგაინტერესებდა ქართული ჭადრაკის უახლოესი წარსულიდანაც კი, ბევრს ვერაფერს შეიტყობდი, არ იყო ისტორიულ-საცნობარო ლიტერატურა. ახლა ხარვეზი დაძლეულია — გამოვიდა საქართველოში ჭადრაკის წარსულის მკვლევარის, მოჭადრაკისა და ჟურნალისტის თენგიზ გიორგაძის „ქართული ჭადრაკის მატიანე" (სამტომეულის პირველი წიგნი).

სქელტანიანი ნაშრომი მოიცავს ქართული ჭადრაკის ისტორიას VII საუკუნიდან დღემდე, რაც უტყუარი წყაროებითაა დადასტურებული.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა პირველ ქართველ მოჭადრაკეებს, მათი მემკვიდრეების მიღწევებს მსოფლიოს, ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის, საქართველოს ჩემპიონატებში, ოლიმპიადებსა და საერთაშორისო ტურნირებში. 300-მდე მოჭადრაკეს, მსაჯს, მწვრთნელს, საჭადრაკო კომპოზიტორს და საზოგადო მოღვაწეს (ბიოგრაფიულ მონაცემებს) მკითხველი გაეცნობა ცალკე თავში.

წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა ჩემპიონატებსა და ტურნირებში ქართველ მოჭადრაკეთა შედეგები. პირველად დაიწერა საქართველოს საჭადრაკო კომპოზიციის საუკუნოვანი ისტორია. საინტერესოა მასალები ჭადრაკის სასახლეზე, ტელესაჭადრაკო ჟურნალ „სამორინეზე", საქართველოში უმაღლეს საჭადრაკო განათლების კერაზე, ჭადრაკისა და ქართული კინოს ურთიერთობაზე. მოცემულია ჭადრაკზე ქართული წიგნის მცირე ბიბლიოგრაფია.

სამტომეული უთუოდ გახდება ნიადაგსახმარი წიგნი.

ავტორის თქმით, მეორე წიგნი მიეძღვნება საქართველოს ყველა თაობის (XIX-XX სს) მოჭადრაკეთა შემოქმედებას, მესამე — საქართველოს საჭადრაკო ცხოვრებას.

წიგნის რედაქტორია ჭადრაკის დიდი ქომაგი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ჩიკვაიძე. წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდა მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში (ტირაჟი 2.000 ცალი).

ციცინო კახაბრიშვილი,
საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი.

## ვიქტორ თელია



გარდაიცვალა თადარიგის პოლკოვნიკი, სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის ყოფილი წევრი ფრენბურთში, „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვიქტორ თელია.

დაიბადა 1922 წელს. 1941 წელს მოხალისედ წავიდა ფრონტზე, სადაც 1943 წელს მძიმედ დაიჭრა სტალინგრადის მისადგომებთან. 1949 წლიდან 1978 წლამდე მუშაობდა უშიშროების კომიტეტში, დაამთავრა აკადემია, პარალელურად ხელმძღვანელობდა წამყვან სამსახურებს. 1978 წლიდან წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1980 წლის ოლიმპიადისათვის სპორტსმენთა მომზადებაში.

ვ. თელია ყველა თანამდებობაზე გამოირჩეოდა მაღალი მომთხოვნელობით, როგორც საკუთარი თავისადმი, ისე ხელქვეითებისადმი, სამაგალითო იყო განსწავლულობით და ერუდიციით.

ვ. თელიას, როგორც შესანიშნავი პიროვნების და ღვაწლმოსილი მუშაკის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულებში.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო"

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი პირველი მოადგილე
ვიქტორ თელია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „დინამოს" საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ვიქტორ პორფირეს-ძე თელია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ფრენბურთელი, სპორტის ოსტატი
ვიქტორ თელია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ინფორმაცია

პასუხისგებაში მიცემული პიტერ გრაფი (მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელის შტეფი გრაფის მამა) და მისი ადვოკატი იოაჰიმ ეკარდტი გერმანიის იუსტიციის ორგანოებს წარუდგენენ ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია გადასახადების გადახდასთან. ამ გზით შესაძლებელია პიტერ გრაფის განთავისუფლება თავდებში.

# ბერტი ფოგტსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მატჩს ქართველებთან

(დასაწყისი პირველ გვერდზე).

იუბილე — იუბილეა, მას თავისი კანონები აქვს და გერმანელებიც იძულებული იყვნენ ამგვარი შესუსტებული შემადგენლობით გამოსულიყვნენ მინდორზე.

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერტი ფოგტსი იძულებული იყო დათანხმებოდა მიმომხილველთა კრიტიკას, ისიც უჩივის გუნდის ცუდ ფორმას, მოთამაშეთა ტრავმებს, საერთო მოუწესრიგებლობას. მისი აზრით, ნაკრები ხელახლა უნდა დაკომპლექტდეს, შეივსოს. შეთამაშდეს, მოძლიერდეს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ გაძნელდა კაპიტნის არჩევა, ლოტარ მათეუსის ტრავმის გამო ეს პოსტი იურგენ კლინსმანმა დაიკავა. შემდეგ ჯერი კოლერზე მიდგა, მან თავიდან უარი თქვა „მოადგილის მოადგილეობაზე“, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული შეიქნა დაყაბულებულიყო.

ერთი სიტყვით, ბერტი ფოგტსს მეტად მძიმე პრობლემები აქვს, მათი დაძლევა კი ხანგრძლივ დროსა და შრომას მოითხოვს.

გარდა ამისა, გერმანულ ფეხბურთში ამჟამად ახალი სკანდალია. საქმე ეხება მეკარე ული შტაინს, რომელსაც ბრალად სდებენ „ჰამბურგსა“ და „კაიზერსლაუტერნს“ შორის ეროვნული ჩემპიონატის მატჩში მრავალი წლის წინათ მომხდარ გარიგებას. თუმცა, მეკარე კატეგორიულად უარყოფს თავის მონაწილეობას ამ ინციდენტში.

საინტერესოა გერმანელთა შემადგენლობა ბელგიის გუნდთან მატჩში: კეპკე, ჰელმერი, კოლერი (ჰაბერი, ლაბადია), ბაბელი, შტრუნცი (აილტსი), ბასლერი, ფროინდი, მელერი, ჰაინრიხი, შოლი, ბობიჩი.

ბერტი ფოგტსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს 6 სექტემბრის შეხვედრას ქართველებთან. მისი აზრით, მატჩი მეტად სერიოზულია, გერმანელები მოვალენი არიან სრული პასუხისმგებლობით მოეკიდონ მას.

ასეთივე განწყობილებით ვსულდგმულობთ ჩვენც: საქართველოს ნაკრებმა თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმი უნდა გააკეთოს პრესტიჟის განსამტკიცებლად, აჩვენოს ძლიერი, შემტევი, აქტიური ფეხბურთი, ითამაშოს უმაღლეს დონეზე.

იურგენ კლინსმანი, როგორც იუწყებიან, ექიმების დიაგნოზის საწინააღმდეგოდ, მალე გამოჯანმრთელდა და შესაძლოა ითამაშოს კიდეც ამ მატჩში. მიუნხენის „ბავარიის“ 31 წლის ფორვარდმა ეროვნული ჩემპიონატის მატჩში „ჰამბურგთან“ ფეხი დაიზიანა, მას ერთთვიან მკურნალობას პირდებოდნენ, მაგრამ ფეხბურთელი უკვე შეუდგა ვარჯიშს და 6 სექტემბერს მატჩში მონაწილეობასაც აპირებს.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ბელუ-ორიზონტის (ბრაზილია) „ატლეტიკო მინეიროს“ ფეხბურთელთა ვარჯიშის დროს, რომელიღაც გულშემატკივარმა ბოთლი ესროლა ბრაზილიის ნაკრების მეკარეს ტაფარელს და საკმაოდ მძიმედ დააშავა იგი — ექიმებმა მას თავზე ათი ნაკერი დაადეს. ამ ხულიგნური გამოხდომის მიზეზი ის გახლავთ, რომ „ატლეტიკო მინეირო, თურმე ყიდის თავის საუკეთესო მოთამაშეებს და ასუსტებს გუნდს.

● ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დროებით შეუწყვიტა წევრობა ნიგერის ფედერაციას. საქმე ისაა, რომ დასავლეთ აფრიკის ამ ქვეყნის მთავრობამ ცუდი შედეგების გამო დაშალა ეროვნული ნაკრები, ახლის შექმნა ალარ მოხერხდა და ამის გამო აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ ნიგერი 5 ათასი დოლარით დააჯარიმა. ახლა კი ამას ახალი სანქციაც დაემატა.

● ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი მარიო კემპესი, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე, კვლავ გამოვა მინდორზე. ორი წლის წინათ მან თავი დაანება თამაშს, მწვრთნელად დაიწყო მუშაობა ბავშვთა გუნდში, მაგრამ დათანხმდა ჩილეს მეორე დივიზიონის „ფერნანდეს ვიალის“ წინადადებას და ამ გუნდში ითამაშებს. მარიო კემპესი 39 წლისაა.

● დიდი ინციდენტი მოხდა ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს შტატის ახალგაზრდა ფეხბურთელთა (19 წლამდე) ჩემპიონატში. მიმდინარეობდა ფინალური მატჩი „პალმეირასსა“ და სან-პაულუსს“ შორის, დამატებითი დროის დამთავრებას 5 წუთი რომ აკლდა (ანგარიში იყო 0-0), „პალმეირასმა“ გაიტანა გოლი, რომელიც ფიფას ახალი წესებით გადამწყვეტი აღმოჩნდა — მსაჯმა შეწყვიტა თამაში და გამარჯვება „პალმეირასს“ მიაკუთვნა. მინდორზე წამსვე გადმოცვივდნენ ორივე გუნდის ქომაგები, გაიმართა უმოწყალო ცემა-ტყეპა, სხეულის დაზიანება მიიღო დაახლოებით ასმა კაცმა, რომელთა შორის 22 პოლიციელი აღმოჩნდა.

● გაიმართა საინტერესო ამხანაგური საერთაშორისო მატჩები: ესპანეთის „ბარსელონამ“ მოუგო საფრანგეთის „ლიონს“ — 3-2, ხოლო ესპანეთის „დეპორტივომ“ — ბრაზილიის „ფლამენგოს“ — 3-0.

● პორტუგალიის ჩემპიონატში რამდენიმე სიახლე დაწესეს: გათამაშებას უხელმძღვანელებს პროფესიული ლიგა და არა ფეხბურთის ფედერაცია, გამარჯვებისათვის გუნდებს ორის ნაცვლად დაეწერებათ სამი ქულა, მოთამაშეებს მთელი შეჯიბრების მსვლელობაში ექნებათ მუდმივი ნომერი, ორის ნაცვლად დაწესდა სამი მოთამაშის შეცვლა.

● ესპანეთის სუპერთასის ორ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „დეპორტივო“ და „რეალი“. თამაში მოიგო „დეპორტივომ“ — 3-0, მეორეც კვლავ „დეპორტივომ“ — 2-1, რომელიც დაეუფლა კიდეც პრიზს.

● იტალიის ჩემპიონატში პირველი გოლის გამტან ფეხბურთელს, ტრადიციის მიხედვით, აჯილდოებენ 1000 ბოთლი საუკეთესო ღვინით და 100 კილოგრამი ნარჩევი თაფლით. ამჯერად ეს პრიზები მოიპოვა „ბარის“ ფეხბურთელმა პროტიმ, რომელმაც „ნაპოლის“ კარში უკვე მეორე წუთზე გაიტანა ბურთი.

● ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის გადაწყვეტილებით უეფას თასის გათამაშებიდან გაირიცხა შვეციის „ერებრუ“, რომელმაც წინასწარ შეჯიბრებაში მოუგო ლუქსემბურგის „ავენირს“ 0-0, 1-1. შვედებს წაგება მიესაჯათ იმის გამო, რომ დაარღვიეს საყოველთაოდ მიღებული წესი მინდორზე ერთდროულად სამი „უცხოელი“ ლეგიონერის გამოყვანის თაობაზე, ისლანდიელების სტეფანსონის, გუდონსონისა და ბირგირსონის გარდა „ავენირთან“ ითამაშა პოლონელმა კუბისტალმაც, ე.ი. მეოთხე უცხოელმა. ამის შედეგად „ერებრუს“ ნაცვლად საფრანგეთის „ნანტთან“ შემდგომ წრეში უნდა ითამაშოს „ავენირმა“. შვედებს განზრახული აქვთ აპელაციით მიმართონ უეფას.

● მსოფლიოს 2002 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი გაიმართება იაპონიაში ან კორეაში. ორი ცნობილი სატელევიზიო ფირმა — ამერიკული და გერმანული — ერთმანეთთან ჭიშპობს ტელეტრანსლაციის უფლებისთვის და საამისოდ კოლოსალურ თანხასაც არ იშურებენ — 1 მილიარდ დოლარს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ამ საკითხს ახლო მომავალში განიხილავს.




## ფეხბურთი

### 1995-96 წლების ევროტურნირები
### შესარჩევი წრე

#### ჩემპიონთა თასი

„მაკაბი“ (თელ-ავივი, ისრაელი) — „გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) 0-1(1-1)
„ანორთოსისი“ (ფამაგუსტა, კვიპროსი) — „რეინჯერსი“ (გლაზგო, შოტლანდია) 0-0 (0-1)
„გეტებორგი“ (შვეცია) — „ლეგია“ (ვარშავა, პოლონეთი) 1-2 (0-1)
„სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „კაზინო“ (ზალცბურგი, ავსტრია) 1-0 (0-0)
„ოლბორგი“ (დანია) — „დინამო“ (კიევი, უკრაინა) 1-3 (0-1)
„ბეშიქთაში“ (სტამბული, თურქეთი) — „რუსენბორგი“ (ნორვეგია) 3-1 (0-3)
„ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია) 1-1, (1-0)
„ჰაიდუკი“ (სპლიტი, ხორვატია) — „პანათინაიკოსი“ (ათენი, საბერძნეთი) 1-1 (0-0)

#### თასების მფლობელთა თასი

„დინამო“ (ბათუმი, საქართველო) — „ობილიჩი“ (იუგოსლავია) 2-2 (1-0)
„სიონი“ (შვეიცარია) — „ტილიგული“ (ტირასპოლი, მოლდოვა) 3-2 (0-0)
„სილექსი“ (მაკედონია) — „ვაც სამსუნგი“ (უნგრეთი) 3-1 (1-1)
„ტეუტა“ (დიურესი, ალბანეთი) — „ტურკუ“ (ფინეთი) 3-0 (0-1)
„გრადეც კრალოვე“ (ჩეხეთი) — „ვადუცი“ (ლიჰტენშტეინი) 9-1 (5-0)
„ნეფთჩი“ (ბაქო, აზერბაიჯანი) — „აპოელი“ (ნიქოზია, კვიპროსი) 0-0 (0-3)
„პეტროლული“ (პლოეშტი, რუმინეთი) — „რექსჰემ იუნაიტედი“ (უელსი) 1-0 (0-0)
„ინტერი“ (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — „ლა-ვალეტა“ (მალტა) 5-2 (0-0)
„ლინფილდი“ (ბელფასტი, ჩრ. ირლანდია) — „შახტიორი“ (დონეცკი, უკრაინა) 0-1 (1-4)
„არარატი“ (ერევანი, სომხეთი) — გკს (კატოვიცე, პოლონეთი) 2-0 (0-2), პენალტებით 5-4
„ლოკომოტივი“ (სოფია, ბულგარეთი) — „დერი სიტი“ (ირლანდია) 2-0 (0-1)
„კლაკსვიკარი“ (კლაკსვიკი, ფარერი) — „მაკაბი“ (ჰაიფა, ისრაელი) 3-2 (0-4)
„მოლდე“ (ნორვეგია) — „დინამო-93“ (მინსკი, ბელარუსი) 2-1 (1-1)
„რეიკიავიკი“ (ისლანდია) — „გრევენმაჰერი“ (ლუქსემბურგი) 2-0 (2-3)
„ლანტანა“ (ესტონეთი) — დაგ (ლიეპაია, ლატვია) 0-0 (0-3)
„მურა“ (მურსკა-სობოტა, სლოვენია) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი, ლიტვა) 2-1 (0-2)

#### უეფას თასი

„დინამო“ (თბილისი, საქართველო) — „ბოტევი“ (პლოვდივი, ბულგარეთი) 0-1 (0-1)
„სამტრედია“ (საქართველო) — „ვარდარი“ (სკოპლე, მაკედონია) 0-2 (0-1)
„ჩერნომორეცი“ (ოდესა, უკრაინა) — „ჰიბერნიანსი“ (მალტა) 2-0 (5-2)
„დინამო“ (მინსკი, ბელარუსი) — „უნივერსიტატია“ (კრაიოვა, რუმინეთი) 0-0 (0-0). დამატებითი თერთმეტმეტრიანებით 3-1.
„სტრასბური“ (საფრანგეთი) — „ტიროლი“ (ზალცბურგი, ავსტრია) 6-1 (1-1).
„ბორდო“ (საფრანგეთი) — „კარლსრუე“ (გერმანია) 2-2 (2-0)
რაფ (ლატვია) — „ეფრან ლიდო“ (პორტ ტალბოტი, უელსი) 0-0 (2-1)
„ინკარას გრიფასი“ (ლატვია) — „ბრონდბიუ“ (დანია) 0-3 (0-3)
„აპოელი ტ-ა“ (თელ-ავივი, ისრაელი) — „ზიმბრუ“ (კიშინიოვი, მოლდოვა) 0-0 (0-2)
„შირაკი“ (გიუმრი, სომხეთი) — „ზაგლემბე“ (ლიუბლინი, პოლონეთი) 0-1 (0-0)
„ბრანიკი“ (სლოვენია) — „სკონტო“ (რიგა, ლატვია) 2-0 (0-1)
„პარტიზანი“ (ტირანა, ალბანეთი) — „ფენერბახჩე“ (სტამბული, თურქეთი) 0-4 (0-2)
„ვიძევი“ (ლოძი, პოლონეთი) — „ბანგორ სიტი“ (უელსი) 1-0 (4-0)
„მიუპა-47“ (ფინეთი) — „მოზერუელი“ (შოტლანდია) 0-2 (3-1)
„სლავია“ (პრაღა, ჩეხეთი) — „შტურმი“ (გრაცი, ავსტრია) 1-1 (1-0)
„ფლორა“ (ტალინი, ესტონეთი) — „ლილესტრიომი“ (ნორვეგია) 1-0 (0-4)
„აპოელი ბ-შ“ (ბეერშევა, ისრაელი) — „ტირანა“ (ალბანეთი) 2-0 (1-0)
„გალათასარაი“ (სტამბული, თურქეთი) — „სპარტა“ (პრაღა, ჩეხეთი) 1-1 (1-3).
„უიპეშტი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „კოშიცე“ (სლოვაკეთი) 2-1 (1-0)
„ვიკინგი“ (სტავანგერი, ნორვეგია) — ტპვ (ტამპერე, ფინეთი) 3-1 (4-0)
„ლევსკი“ (სოფია, ბულგარეთი) — „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) 1-1 (1-0).
„სილკებორგი“ (დანია) — „კრუზეიდერსი“ (ჩრდ. ირლანდია) 4-0 (2-1)
„გი-გოტუ“ (ფარერი) — „რაითი“ (შოტლანდია) 2-2 (0-4)
„ქსამაქსი“ (ნევშატელი, შვეიცარია) — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია) 0-0 (1-0)
„ავენირი“ (ბეგენი, ლუქსემბურგი) — „ერებრუ“ (შვეცია) 1-1 (3-0)
„ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი) — „სლავია“ (სოფია, ბულგარეთი) 1-0 (2-0)
„სლიმა უონდერერსი“ (მალტა) — „ომონია“ (ნიქოზია, კვიპროსი) 1-2 (0-3)
„ოსიეკი“ (ხორვატია) — „სლოვანი“ (ბრატისლავა, სლოვაკეთი) 0-2 (0-4)
„ოლიმპია“ (ლიუბლიანა, სლოვენია) — „აპოლონი“ (ათენი, საბერძნეთი) 3-1 (0-1)
„აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — „ქიაფაზი“ (განჯა, აზერბაიჯანი) 5-1 (4-0)
„აკრანესი“ (ისლანდია) — „შელბურნი“ (დუბლინი, ირლანდია) 3-0 (3-0)
„ჰაფნარფიორდური“ (ფარერი) — „გლენავონი“ (ლურგანი, ჩრ. ირლანდია) 0-1 (0-0)
„ლუგანო“ (შვეიცარია) — „ჟენესი“ (ეში, ლუქსემბურგი) 4-0 (0-0)
„მალმე“ (შვეცია) — „დანდალკი“ (ირლანდია) 2-0 (2-0)

შენიშვნა: ფრჩხილებში აღნიშნულია პირველ შეხვედრათა შედეგები, ხოლო ხაზგასმულია გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასული გუნდები.

### UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## წილისყრა

ჟენევაში მოხდა საკლუბო ევროტურნირების გათამაშებათა წილისყრა. გთავაზობთ მათ შედეგებს:

#### ჩემპიონთა ლიგა

„ა“ ჯგუფი
„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი)
„ნანტი“ (საფრანგეთი)
„პორტუ“ (პორტუგალია)
„დინამო“ (კიევი, უკრაინა)

„ბ“ ჯგუფი
„სპარტაკი“ (მოსკოვი, რუსეთი)
„ლეგია“ (პოლონეთი)
„რუსენბორგი“ (ნორვეგია)
„ბლეკბერნი“ (ინგლისი)

„გ“ ჯგუფი
„რეინჯერსი“ (შოტლანდია)
„ბორუსია“ (გერმანია)
„იუვენტუსი“ (იტალია)
„სტიაუა“ (რუმინეთი)



„დ“ ჯგუფი
„ფერენცვაროში“ (უნგრეთი)
„აიაქსი“ (ჰოლანდია)
„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)
„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია)
თამაშები დაიწყება 13 სექტემბერს.

#### თასების მფლობელთა თასი

„დინამო“ (ბათუმი) — „სელტიკი“ (შოტლანდია)
„დინამო“ (მოსკოვი) — „არარატი“ (ერევანი)
დაგ (ლატვია) — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია)
„ბრიუგე“ (ბელგია) — „შახტიორი“ (დონეცკი)
„გრადეც-კრალოვე“ (ჩეხეთი) — „კოპენჰაგენი“ (დანია)
„ლოკომოტივი“ (ბულგარეთი) — „ჰალმსტადი“ (შვეცია)
„რეიკიავიკი“ (ისლანდია) — „ევერტონი“ (ინგლისი)
„ინტერი“ (სლოვაკეთი) — „სარაგოსა“ (ესპანეთი)
„რაპიდი“ (ავსტრია) — „პეტროლული“ (რუმინეთი)
„მოლდე“ (ნორვეგია) — „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი)
აეკ (საბერძნეთი) — „სიონი“ (შვეიცარია)
„ბორუსია“ (გერმანია) — „სილექსი“ (მაკედონია)
„ტეუტა“ (ალბანეთი) — „პარმა“ (იტალია)
„ჟალგირისი“ (ლიტვა) — „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი)
„სპორტინგი“ (პორტუგალია) — „მაკაბი“ (ისრაელი)
„ლა კორუნია“ (ესპანეთი) — „აპოელი“ (კვიპროსი)
თამაშები გაიმართება 14 და 26 სექტემბერს.

#### უეფას თასი

„ა“ ჯგუფი
„ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — „ბრანიკი“ (სლოვენია)
„ბარსელონა“ (ესპანეთი) — „აპოელი“ (ისრაელი)
„ლაციო“ (იტალია) — „ომონია“ (კვიპროსი)
„სტრასბური“ (საფრანგეთი) — „უიპეშტი“ (უნგრეთი)

„ბ“ ჯგუფი
„მილანი“ (იტალია) — „ზაგლემბე“ (პოლონეთი)
„ბორდო“ (საფრანგეთი) — „ვარდარი“ (მაკედონია)
„გიმარაეში“ (პორტუგალია) — „სტანდარდი“ (ბელგია)
„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „ბეტისი“ (ესპანეთი)

„გ“ ჯგუფი
„როტორი“ (ვოლგოგრადი) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი)
„მიუპა-47“ (ფინეთი) — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)
„ლანსი“ (საფრანგეთი) — „ავენირი“ (ლუქსემბურგი)
„სპარტა“ (ჩეხეთი) — „სილკებორგი“ (დანია)

„დ“ ჯგუფი
„ლიერსი“ (ბელგია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია)
„ქსამაქსი“ (შვეიცარია) — „რომა“ (იტალია)
„ბოტევი“ (ბულგარეთი) — „სევილია“ (ესპანეთი)
„როდა“ (ჰოლანდია) — „ოლიმპია“ (სლოვენია)

„ე“ ჯგუფი
„ბაიერნი“ (გერმანია) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
„აუსტრია“ (ავსტრია) — „დინამო“ (მინსკი)
„მალმე“ (შვეცია) — „ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი)
„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ვიძევი“ (პოლონეთი)

„ფ“ ჯგუფი
„მონაკო“ (საფრანგეთი) — „ლიდსი“ (ინგლისი)
„ბრონდბიუ“ (დანია) — „ლილესტრიომი“ (ნორვეგია)
„რაიტ როვერსი“ (შოტლანდია) — „აკრანესი“ (ისლანდია)
„სლავია“ (ჩეხეთი) — „ფრაიბურგი“ (გერმანია)

„ჟ“ ჯგუფი
„სლოვანი“ (სლოვაკეთი) — „კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია)
„ინტერი“ (იტალია) — „ლუგანო“ (შვეიცარია)
„ფარენსე“ (პორტუგალია) — „ლიონი“ (საფრანგეთი)
„ლევსკი“ (ბულგარეთი) — „ალსტი“ (ბელგია)

„ნ“ ჯგუფი
„ვერდერი“ (გერმანია) — „გლენავონი“ (ჩრ. ირლანდია)
„ვიკინგი“ (ნორვეგია) — „ოსერი“ (საფრანგეთი)
„სპარტაკი-ალანია“ (ვლადიკავკაზი) — „ლივერპული“ (ინგლისი)
„ზიმბრუ“ (მოლდოვა) — რაფ (ლატვია)
თამაშები გაიმართება 12 და 26 სექტემბერს.
პირველი მატჩები შედგება კალენდარში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

EURO 96 England

# «ლელო» — გულშემატკივრებს!

## აი, როგორი მდგომარეობაა ჯგუფებში 6 სექტემბრისათვის.

| | I ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუმინეთი | | 0-0 | 2-1 | 1-1<br>2-1 | 3-2 | 3-0<br>4-1 | 15-6 | 17 |
| 2 | საფრანგეთი | 0-0 | | 0-0<br>1-1 | 0-0 | 0-0<br>4-0 | 2-0 | 7-1 | 11 |
| 3 | პოლონეთი | 1-2 | 0-0<br>1-1 | | 1-2<br>4-3 | 5-0 | 1-0 | 13-8 | 11 |
| 4 | ისრაელი | 1-1<br>1-2 | 0-0 | 2-1<br>3-4 | | 2-2 | 2-0 | 11-10 | 9 |
| 5 | სლოვაკეთი | 2-3 | 0-0<br>0-4 | 0-5 | 2-2 | | 4-1<br>1-0 | 9-15 | 8 |
| 6 | აზერბაიჯანი | 0-3<br>1-4 | 0-2 | 0-1 | 0-2 | 1-4<br>0-1 | | 2-17 | 0 |

| | II ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | | 3-0 | 4-1<br>1-1 | 2-0 | 2-1 | 2-0<br>1-0 | 15-3 | 19 |
| 2 | დანია | 0-3 | | 3-1 | 1-1<br>1-0 | 1-1<br>4-0 | 2-0 | 12-6 | 14 |
| 3 | ბელგია | 1-4<br>1-1 | 1-3 | | 1-1<br>5-0 | 2-0 | 2-0 | 13-9 | 11 |
| 4 | მაკედონია | 0-2 | 1-1<br>0-1 | 1-1<br>0-5 | | 3-0 | 2-2 | 7-12 | 6 |
| 5 | კვიპროსი | 1-2 | 1-1<br>0-4 | 0-2 | 0-3 | | 0-0<br>2-0 | 4-12 | 5 |
| 6 | სომხეთი | 0-2<br>0-1 | 0-2 | 0-2 | 2-2 | 0-0<br>0-2 | | 2-11 | 2 |

| | III ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შვეიცარია | | 2-1<br>1-2 | 4-2 | 2-2 | 1-0<br>2-0 | 12-7 | 13 |
| 2 | თურქეთი | 1-2<br>2-1 | | 2-1 | 2-2 | 5-0 | 12-6 | 10 |
| 3 | შვეცია | 2-4 | 1-2 | | 2-0<br>0-1 | 1-0<br>1-1 | 7-8 | 7 |
| 4 | უნგრეთი | 2-2 | 2-2 | 0-2<br>1-0 | | 1-2 | 6-8 | 5 |
| 5 | ისლანდია | 0-1<br>0-2 | 0-5 | 0-1<br>1-1 | 2-1 | | 3-11 | 4 |

| | IV ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხორვატია | | 2-1 | 2-0<br>0-0 | 4-0 | 2-0<br>0-1 | 2-0<br>7-1 | 19-3 | 19 |
| 2 | იტალია | 1-2 | | 1-0 | 2-0 | 1-1 | 2-0<br>4-1 | 11-4 | 13 |
| 3 | ლიტვა | 0-2<br>0-0 | 0-1 | | 2-0 | 2-1<br>2-1 | 1-0 | 7-5 | 13 |
| 4 | უკრაინა | 0-4<br>1-0 | 0-2 | 0-2 | | 0-0 | 3-0<br>1-0 | 5-8 | 10 |
| 5 | სლოვენია | 0-2 | 1-1 | 1-2<br>1-2 | 0-0 | | 3-0<br>3-1 | 9-8 | 8 |
| 6 | ესტონეთი | 0-2<br>1-7 | 0-2<br>1-4 | 0-1 | 0-3<br>0-1 | 0-3<br>1-3 | | 3-26 | 0 |

| | V ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნორვეგია | | 1-1 | 1-1 | 1-0<br>4-0 | 2-0<br>5-0 | 1-0<br>2-0 | 17-2 | 20 |
| 2 | ჩეხეთი | 1-1 | | 0-0<br>3-1 | 4-2 | 0-1 | 6-1<br>0-0 | 14-6 | 12 |
| 3 | ჰოლანდია | 1-1 | 0-0<br>1-3 | | 0-1 | 4-0<br>5-0 | 4-0 | 15-5 | 11 |
| 4 | ბელარუსი | 0-1<br>0-4 | 2-4 | 1-0 | | 2-0 | 1-1 | 6-10 | 7 |
| 5 | ლუქსემბურგი | 0-2<br>0-5 | 1-0 | 0-4<br>0-5 | 0-2 | | 1-0 | 2-18 | 6 |
| 6 | მალტა | 0-1<br>0-2 | 1-6<br>0-0 | 0-4 | 1-1 | 0-1 | | 2-15 | 2 |

| | VI ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტუგალია | | 0-1 | 1-0 | 2-1<br>1-1 | 3-1<br>3-2 | 8-0<br>7-0 | 25-6 | 19 |
| 2 | ირლანდია | 1-0 | | 1-3 | 4-0<br>1-1 | 3-0 | 4-0<br>0-0 | 14-4 | 14 |
| 3 | ავსტრია | 0-1 | 3-1 | | 1-2 | 5-0<br>2-3 | 4-0<br>7-0 | 22-7 | 12 |
| 4 | ჩრდ. ირლანდია | 1-2<br>1-1 | 0-4<br>1-1 | 2-1 | | 1-0<br>1-2 | 4-1 | 11-12 | 11 |
| 5 | ლატვია | 1-3<br>2-3 | 0-3 | 0-5<br>3-2 | 0-1<br>2-1 | | 1-0 | 9-18 | 9 |
| 6 | ლიხტენ-შტეინი | 0-8<br>0-7 | 0-4<br>0-0 | 0-4<br>0-7 | 1-4 | 0-1 | | 1-35 | 1 |

| | VII ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბულგარეთი | | 3-2 | 2-0 | | 4-1<br>3-0 | 3-0<br>3-1 | 18-4 | 18 |
| 2 | გერმანია | 2-3 | | 2-0 | 2-1<br>2-1 | 3-0 | 1-1 | 12-6 | 13 |
| 3 | საქართველო | 0-2 | 0-2 | | 1-0<br>2-0 | 0-1 | 5-0<br>1-0 | 9-5 | 12 |
| 4 | ალბანეთი | | 1-2<br>1-2 | 0-1<br>0-2 | | 3-0<br>3-2 | 0-2 | 8-11 | 6 |
| 5 | მოლდოვა | 1-4<br>0-3 | 0-3 | 1-0 | 0-3<br>2-3 | | 3-2 | 7-18 | 6 |
| 6 | უელსი | 0-3<br>1-3 | 1-1 | 0-5<br>0-1 | 2-0 | 2-3 | | 6-16 | 4 |

| | VIII ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსეთი | | 1-1<br>0-0 | 6-0 | 3-0 | 3-0 | 4-0<br>7-0 | 24-1 | 17 |
| 2 | შოტლანდია | 1-1<br>0-0 | | 2-0 | 0-1<br>1-0 | 5-1<br>2-0 | 2-0 | 13-3 | 17 |
| 3 | ფინეთი | 0-6 | 0-2 | | 0-4<br>2-1 | 5-0<br>4-0 | 4-1<br>2-0 | 17-14 | 15 |
| 4 | საბერძნეთი | 0-3 | 1-0<br>0-1 | 4-0<br>1-2 | | 5-1 | 2-0 | 13-7 | 12 |
| 5 | ფარერი | 0-3 | 1-5<br>0-2 | 0-5<br>0-4 | 1-5 | | 3-0 | 5-24 | 3 |
| 6 | სან-მარინო | 0-4<br>0-7 | 0-2 | 1-4<br>0-2 | 0-2 | 0-3 | | 1-24 | 0 |

## გათამაშების კალენდარი

### I ჯგუფი

6.09 საფრანგეთი — აზერბაიჯანი
სლოვაკეთი — ისრაელი
პოლონეთი — რუმინეთი
11.10 რუმინეთი — საფრანგეთი
ისრაელი — აზერბაიჯანი
სლოვაკეთი — პოლონეთი
15.11 სლოვაკეთი — რუმინეთი
აზერბაიჯანი — პოლონეთი
საფრანგეთი — ისრაელი

### II ჯგუფი

6.09 ბელგია — დანია
ესპანეთი — კვიპროსი
მაკედონია — სომხეთი
7.10 სომხეთი — ბელგია
11.10 დანია — ესპანეთი
კვიპროსი — მაკედონია
15.11 ესპანეთი — მაკედონია
კვიპროსი — ბელგია
დანია — სომხეთი

### III ჯგუფი

6.09 შვეცია — შვეიცარია
თურქეთი — უნგრეთი
11.10 შვეიცარია — უნგრეთი
ისლანდია — თურქეთი
11.11 უნგრეთი — ისლანდია
15.11 შვეცია — თურქეთი

### IV ჯგუფი

3.09 ხორვატია — ესტონეთი 7-1
6.09 იტალია — სლოვენია
ლიტვა — უკრაინა
8.10 ხორვატია — იტალია
11. 10 სლოვენია — უკრაინა
ლიტვა — ესტონეთი
11.11 იტალია — უკრაინა
15.11 სლოვენია — ხორვატია
იტალია — ლიტვა

### V ჯგუფი

6.09 ჩეხეთი — ნორვეგია
ლუქსემბურგი — მალტა
ჰოლანდია — ბელარუსი
7.10 ბელარუსი — ჩეხეთი
11.10 მალტა — ჰოლანდია
ლუქსემბურგი — ბელარუსი
12.11 მალტა — ბელარუსი
15.11 ჩეხეთი — ლუქსემბურგი
ჰოლანდია — ნორვეგია

### VI ჯგუფი

3.09 პორტუგალია — ჩრდ. ირლანდია 1-1
6.09 ავსტრია — ირლანდია
ლატვია — ლიხტენშტეინი
11.10 ირლანდია — ლატვია
ავსტრია — პორტუგალია
ლიხტენშტეინი — ჩრდ. ირლანდია
15.11 პორტუგალია — ირლანდია
ჩრდ. ირლანდია — ავსტრია

### VII ჯგუფი

6.09 გერმანია — საქართველო
უელსი — მოლდოვა
ალბანეთი — ბულგარეთი
7.10 ბულგარეთი — ალბანეთი
8.10 გერმანია — მოლდოვა
11.10 უელსი — გერმანია
საქართველო — ბულგარეთი
15.11 გერმანია — ბულგარეთი
მოლდოვა — საქართველო
ალბანეთი — უელსი

### VIII ჯგუფი

6.09 შოტლანდია — ფინეთი
ფარერი — რუსეთი
სან-მარინო — საბერძნეთი
11.10 რუსეთი — საბერძნეთი
სან-მარინო — ფარერი
15.11 შოტლანდია — სან-მარინო
რუსეთი — ფინეთი
საბერძნეთი — ფარერი

## კროსვორდი



თარაზულად: 3. სპორტის სახეობის ხელმძღვანელი ორგანიზაცია (9), 8. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი (4). 9. საჭადრაკო ფიგურა (4), 12. ყირაზე გადასვლა (6), 13. 60-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო რუსი ჰოკეისტი — ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი (6), 14. უნგრელი ნიჩბოსანი — 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი (5), 17. მოჭიდავე — ძველი ტერმინი (9), 18. კუბერტენის მიერ შექმნილი სახოტბო ლექსი მიძღვნილი სპორტისადმი (4), 20. რუმინელი ფეხბურთელი — ითამაშა თბილისში (4), 21. წმინდა გამარჯვება ძიუდოში (5), 24. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი (6), 26. ლეგენდარული ჰოლანდიელი მოციგურავე (6), 27. გამარჯვების ქალღმერთი (4), 28. ინგლისში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა (4), 28. საფეხბურთო ლიგის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში (9).

შვეულად: 1. სახელოვანი არგენტინელი მწვრთნელი ფეხბურთში (6), 2. პიროვნება, რომლის სახელს ატარებს რეკორდების წიგნი (6). 4. მატადორი, ტორეადორი... (6), 5. მეხიკოს მთავარი სტადიონი (6), 6. ველოტრეკის დახრილი მოსახვევი (6), 7. სპორტული ნავებისა და ინვენტარის შესანახი ნაგებობა (6), 10. მსაჯის კვალიფიკაცია (9), 11. ძალოსანი, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი საშუალო წონაში (9), 14. ადამიანის სხეულის (თავისა და ხელ-ფეხის გამოკლებით) სკულპტურული ან ფერწერული გამოსახულება (5), 15. ტანზე შემოჭერილი სპორტული ჩასაცმელი (5), 16. მშვილდოსნის ინვენტარი (5), 19. თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე და ამავე კლუბის ერთ-ერთი მწვრთნელი (6), 20. პირველი ქალი, რომელმაც გადაცურა ლა-მანში (6), 22. სპორტსმენთა საზეიმო სვლა (6), 23. აზერბაიჯანის საფეხბურთო კლუბი (6), 25. საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე კლუბი (6), 26. წარსულში ცნობილი რუსი ფრენბურთელი, 1949 წლის მსოფლიოს ჩემპიონი (6).

### „ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. გლდანელი, 6. თევზჭერა, 8. ტრანსფერი, 11. ტახტი, 14. ოკანო, 15. ციურიხი, 16. სტენლი, 17. სკოპლე, 21. ურუშაძე, 22. ბაგიო, 23. აგასი, 26. კაპუსტინი, 27. ბიატლონი, 28. ალკიაერი.

შვეულად: 1. ალამდარი, 2. მეტრი, 3. ჯვარი, 4. პრესინგი, 7. ოსკარი, 9. სტრატეგია, 10. აკვალანგი, 12. მიულერი, 13. ფხაკაძე, 18. ბრაზილია, 19. იშიასი, 20. ფოსბიური, 24. კანოე, 25. ინოკი.

### „ფოტო ალექსანდრე კოტორაშვილისა“... ბათუმში!

ბათუმში გაიმართა ცნობილ ფოტოჟურნალისტის ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო“) პერსონალური გამოფენა. ფოტოხელოვანის 100 საუკეთესო ნამუშევარი ერთი კვირის განმავლობაში დაათვალიერა ათიათასობით ბათუმელმა და ქალაქის სტუმარმა. გამოფენას ეწვია აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.